ინსტრუქცია სტატისტიკური ინფორმაციის მიღების მსურველებისთვის

ინფორმაციის მოთხოვნა იურიდიული პირის მიერ :

1. სტატისტიკური ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა თოდრაძის სახელზე საქსტატის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@geostat.ge , თავისი ორგანიზაციის (შპს, ს.ს. სსიპ და სხვა) სახელით აგზავნის წერილს (ან ელექტრონულ წერილს) (განაცხადს), რომელშიც მკაფიოდ, გამართულად მიეთითება მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი.
2. განაცხადში გარკვეულად უნდა დაფიქსირდეს იურიდიული პირის ზუსტი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა, განმცხადებლის ოფისის ან/და მობილური ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირის ვინაობა (იხ.განაცხადის ნიმუში, დანართი #1)
3. განაცხადის მიღების შემდეგ, „საქსტატის“ უფლებამოსილი წარმომადგენლები გამოითვლიან სტატისტიკური ინფორმაციის ღირებულებას და განმცხადებელს უგზავნიან შესაბამის ინვოისს.
4. აღნიშნული ინვოისის საფუძველზე საქსტატის საბანკო ანგარიშზე თანხას გადაიხდის იურიდიული პირი, რომელმაც შემოიტანა განაცხადი და რომლის სახელზედაც ზემოაღნიშნული საბანკო რეკვიზიტების მითითებით გამოიწერა ინვოისი.
5. იმ შემთხვევაში, თუ სტატისტიკური ინფორმაციის ღირებულების გადახდა ხორციელდება სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიერ, მაშინ საგადახდო დავალების შესაბამის ველში უნდა მიეთითოს ინვოისის ნომერი, რომლის საფუძველზეც იხდიან თანხას და იმ იურიდიული პირის დასახელება ვისაც წარმოადგინილი ჰქონდა შესაბამისი განაცხადი.
6. თანხის გადახდის შემდეგ საქსტატის მიერ გამოიწერება დ.ღ.გ-ს ანგარიშფაქტურა და განმცხადებელს მიეწოდება შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია.

ინფორმაციის მოთხოვნა ფიზიკური პირის მიერ :

1. ფიზიკური პირი (მოქალაქე) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა თოდრაძის სახელზე აგზავნის წერილს (ან ელექტრონულ წერილს) ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@geostat.ge, , სადაც აღინიშნება პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი.
2. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ ელექტრონული ფოსტით, შეუძლიათ საქსტატის ოფისში წარადგინონ ან/და ადგილზე შეადგინონ განაცხადი. (იხილეთ დანართი#2)

3. განაცხადის მიღების შემდეგ, „საქსტატის“ უფლებამოსილი წამრომადგენლები გამოითვლიან სტატისტიკური ინფორმაციის ღირებულებას და განმცხადებელს უგზავნიან შესაბამის ინვოისს.
4. იმ შემთხვევაში, როცა განაცხადის ავტორია ერთი პირი და საფასურს იხდის სხვა პირი, საგადახდო დავალების შესაბამის ველში უნდა მიეთითოს იმ პირის სახელი და გვარი ვინც წარმოადგინა განაცხადი.
5. სტუდენტებმა, რომლებიც ითხოვენ სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციას, სარგებლობენ რა უფასო ინფორმაციის მიღების უფლებით, წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაურთონ პირადობის მოწმობის ასლი და უმაღლესი სასწავლებლის წარდგინება, რომ სტუდენტს ინფორმაცია ესაჭიროება სასწავლო პროცესიდან გამომდინარე (თემა, რეფერატი, საკურსო, სადიპლომო ნაშრომისთვის და ა.შ.).